საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№180/3

2018 წელი, 2 ივლისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 146-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 147-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა (წამყვანი კომიტეტი) და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებს განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი ტუღუშის და ირაკლი აბესაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (07-3/204; 25.06.2018) საქართველოს კანონის პროექტი და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური